

ლიტერატურის ისტორია

აკადემიკოსი კ. კეკელიძე

როსტომიანის ერთი საპითხისათვის

როსტომიანის ერთი, საკმაოდ მოზრდილი, ნაწილი, როგორც ცნობილია, გაულექსავეს სერაპიონ სოკრატიდე-საბაშვილს. სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში საბოლოოდ გარკვეულია, რომ სერაპიონს, თავისი შრომის შესრულებისას, ხელთ ჰქონია არა სპარსული დედანი უშუალოდ, არამედ მისი პროზული თარგმანი, რომელიც სერაპიონს გაულექსავეს და რომელიც ჩვენამდე არ შენახულა.

ერთ დროს ჩვენ ვფიქრობდით, რომ ის უნდა ეკუთვნოდეს აღორძინების პერიოდის დამდეგის მწერალს კედელაურს ([1], გვ. 175); ეს შეხედულება შემდეგ სხვებმაც გაიზიარეს ([2], გვ. 74). უკანასკნელი წლების ჩვენი დაკვირვებით, სერაპიონს ხელთ უნდა ჰქონოდა კლასიკური პერიოდის პროზული თარგმანი, რომლის არსებობა დღეს არავის ეეჭვება ([3], გვ. 284). იმ არგუმენტს, რომელიც ამ შეხედულების სასარგებლოდ თავის დროს მოგვყავდა ჩვენ, ახლა შეგვიძლია დავეუმატოთ ონომასტიკური ხასიათის მოსაზრებანიც.

ამ შემთხვევაში უნდა გვახსოვდეს შემდეგი გარემოება. მომეტებული ნაწილი შაჰნამეს სპარსული სახელებისა ჩვენში ეროვნულ, ქართულ სახელად ქცეულა. ეს სახელები ქართულ წარმოთქმაში ერთი და იმავე სახით არ წარმოგვიდგება, არც ლიტერატურულში, არც ზეპირში: სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა პირთა გამოთქმაში ისინი სხვადასხვა ვარიაციით გვევლინებიან. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

სპარსული „ისფანდიერ“ კლასიკურ პერიოდში ცნობილი იყო ჩვენში როგორც „სპანდიატ“ ([4] გვ. 13), resp. „სპანდიარ“ ([5], გვ. 55, ა). „სპანდიატ“ ეწოდება მას სერაპიონის შრომაშიაც ([6] I, 1082, II, 5175—5180, 5183 და სხვ.).

სპარსული სახელი „კაიკაუს“ კლასიკური ხანის ქართულ ლიტერატურაში ცნობილი იყო როგორც „ქეკაოზ“ ([5], გვ. 112, ა), რაც ლეონტი მროველის შრომის მარიამისეულ ნუსხაში დამახინჯებულა როგორც „ქეკაოს, კეკაოს, ქელკაოს, კეოს, ქესაპოს“ ([4], გვ. 11). სერაპიონის შრომაშიაც ეს სახელი ჩვენ გვაქვს როგორც „ქეკაოზ“ ([6], II, 2956, 2962—3).

სპარსული „ტაჰამთან“, რომელიც როსტომის გოლიათობისა და მამაცობის ეპითეტადაა ნახმარი სპარსულში, კლასიკური პერიოდის ქართულ მწერლობაში ქცეულა როსტომის მეორე სახელად „თაჰამთან“-ის ფორმით ([5], გვ. 55,\*, 80,\*)); სერაპიონის შრომაშიაც „თაჰამთან“, resp. „თაამთან, თამთან“, არის როსტომის საკუთარი სახელი ([6], I, 1840, 1843, II, 31432, 3985).

ისმის საკითხი: რატომ ოდნავ მაინც არ შეიცვალა ამ სახელების ფორმა სერაპიონის შრომაში შედარებით იმასთან, რაც კლასიკურ პერიოდში გვაქვს? რატომ მოხდა, რომ „თაჰამთან“ სერაპიონის შრომაშიაც დარჩა საკუთარ სახელად და არა ეპითეტად? იმიტომ რომ სერაპიონის შრომა წარმოადგენს კლასიკური პერიოდის პროზული თარგმანის გალექსევას და არა აღორძინების პერიოდისას. სერაპიონს რომ ხელთ ჰქონოდა კლასიკური პერიოდის შემდეგ წარმოშობილი თარგმანი, ამ უკანასკნელში ეს სახელები ცოტა რაიმე განსხვავებით მაინც იქნებოდა მოცემული.

ჩვენს დებულებას განსაკუთრებით ამტკიცებს როსტომის ცოლის, ზურაბის დედის, სახელი. სპარსულად ის არის „თაჰმინე“, ქართულად კი კლასიკურ პერიოდში ის ცნობილი იყო როგორც „თუმიანი“ ([5], გვ. 80,\*)); „თუმიანი“ ეწოდება მას სერაპიონის შრომაშიაც ([6], I, 2633, 2644, 2916). საიდან გაჩნდა სერაპიონის შრომაში სახელი „თუმიანი“, რომელშიაც სპარსული ფორმა (თაჰმინე) არც ისე უცვლელადაა მოცემული? თუ ხალხურ როსტომიანში ის „ხურომანად“ შეიცვალა, ნუთუ აღორძინების ხანის ახალ თარგმანში მან ცოტაოდენი ცვლილება მაინც არ განიცადა? პასუხი მხოლოდ ერთია: სერაპიონის „თუმიანი“ კლასიკური პერიოდის „თუმიანისაგან“ მომდინარეობს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 8.10.1942)

## ИСТОРИЯ ЛИТЕРАТУРЫ

Академик К. КЕКЕЛИДЗЕ

### К УЯСНЕНИЮ ОДНОГО ВОПРОСА ИЗ ИСТОРИИ РОСТОМИАНИ

#### Резюме

В статье выясняется, что оригиналом стихотворной редакции Ростомиани, принадлежащей Серапиону Согратишдзе-Сабашвили, является прозаический перевод классического периода грузинской литературы, а не эпохи возрождения.

Академия Наук Грузинской ССР  
Институт грузинской литературы  
Тбилиси

ციტირებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გამ. 1, 1924.
2. ა. ბარამიძე. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, 1940.
3. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გამ. 2, 1941.
4. ლეონტი მროველი. მეფეთა ცხოვრება, მარიამისეული ვარიანტი, გამ. ე. თაყაი-შვილისა.
5. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გამოცემა კ. კეკელიძისა, 1941.
6. როსტომიანი. ტ. I, გამოც. იუსტ. აბულაძისა, 1916, ტ. II, საიუბილეო გამოცემა 1934.